ფინანსური ანგარიშგება

შპს „დელტა კონსალტინგი არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საიდენტიფიკაციო ნომრით 401992162

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია და თანმდევი მომსახურებები. კომპანიის იურიდიული მისამართია ონიაშვილის 72. კომპანიის მფლობელები 31 დეკემბერი 2020წლის მდგომარეობით არის გიორგი ჯალიაშვილი 60% დავით გიორგაძე 20% გიორგი მიროტაძე 20% .კომპანიის დირექტორი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის არის გიორგი ჯალიაშვილი.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის რეალურ ღირებულებაზე.
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე. თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია უშუალოდ კომპანიაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს კომპანიის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე

Delta CONSULTING

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2020**	**31/12/2019**	**31/12/2018**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,260,815.00	2,089,987.00	1,807,474.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	751,635.00	636,112.00	258,640.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	419,688.00	583,518.00	838,138.00
მარაგები	786,347.00	546,029.00	971,131.00
მზა პროდუქცია	786,347.00	546,029.00	914,319.00
სხვა	-	-	56,812.00
სხვა მოკლევადიანი აქტივები	160,432.00	177,680.00	-
სხვა არამატერიალური აქტივები	10,659.00	2,013.00	851.00
ძირითადი საშუალებები	1,712,196.00	1,631,795.00	1,439,987.00
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	278,712.00
სულ აქტივები	**6,101,772.00**	**5,667,134.00**	**5,594,933.00**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	359,286.00	523,879.00	603,866.00
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	76,145.00
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	8,090.00	267,660.00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-	168,149.00
სხვა ვალდებულებები	779,083.00	1,139,527.00	3,063,019.00
სულ ვალდებულებები	**1,138,369.00**	**1,671,496.00**	**4,178,839.00**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	295,981.00	295,981.00	295,981.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4,667,422.00	3,699,657.00	1,120,113.00
სულ საკუთარი კაპიტალი	4,963,403.00	3,995,638.00	1,416,094.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**6,101,772.00**	**5,667,134.00**	**5,594,933.00**

შპს დელტა კონსალტინგი * Delta CONSULTING * DELTA CONSULTING LLC 401992162

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
ნეტო ამონაგები	9,181,254.00	10,217,499.00
საქონლის გაყიდვიდან	9,181,254.00	10,217,499.00
გაყიდვების თვითღირებულება	(5,626,603.00)	(6,645,293.00)
საწყისი მარაგები	-	(971,131.00)
მარაგების შესყიდვა	-	(6,220,191.00)
საერთო მოგება	3,554,651.00	3,572,206.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,169,098.00)	(861,095.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(273,849.00)	(249,851.00)
საპროცენტო ხარჯი	(1,436.00)	(14,990.00)
იჯარის ხარჯი	-	(32,717.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(458,293.00)	(430,961.00)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,902,676.00)	(1,589,614.00)
საოპერაციო მოგება	1,651,975.00	1,982,592.00
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	(2,187.00)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1,651,975.00	1,980,405.00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1,651,975.00	1,980,405.00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1,651,975.00	1,980,405.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3,995,638.00	1,416,094.00
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(684,210.00)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	599,139.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,963,403.00	3,995,638.00

შპს დელტა კონსალტინგი
Delta CONSULTING
401992162
DELTA CONSULTING LLC

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2020**	**31/12/2019**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	513,532.00	284,700.00
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(684,210.00)	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	367,020.00	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	196,342.00	284,700.00
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(25,514.00)	(2,187.00)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2,089,987.00	1,807,474.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,260,815.00	2,089,987.00

შპს დელტა კონსალტინგი
Delta CONSULTING
401992162
DELTA CONSULTING LLC

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის ხარჯი ერიცხება არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (5 წელი) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ მსგავსი მომსახურების ვადა უსასრულო არ არის.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ₾	EUR / ₾
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3,27	4,02
საშუალო გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული	3,10	3,55
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2,87	3,21
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული	2,82	3,16

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელიც კომპანიას დაუგროვდა წლების განმავლობაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წელში შემცირდა 684210 ლარით, როდესაც კომპანიის დამფუძნებელმა გაიტანეს დივიდენდი

წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გამოწვეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი. საქონლის რეალიზაციით შემოსავალი აღიარდება, როცა ხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება და საკუთრების უფლების გადაცემა. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად დღგ).

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების,აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს, როგორიცაა ტექნიკური მხარე,

Jetta CONSULTING

კომერციული გამოყენება, აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების ჯუფები	2020წ 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019წ 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018წ 31 დეკემბრის მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	55,442.25	55,442.25	55,442.25
შენობა ნაგებობები	600,162.00	631,750.00	665,000.00
დაუმთავრებელი მშენებლობა	51,556.00		
მანქანა დანადგარები	9,095.00	30,022.37	6,381.78
ოფისის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკა	602,375.00	546,437.23	563,005.78
ავეჯი და სხვა ინვენტარი	48,110.00	16,368.63	10,132.30
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	345,456.00	351,774.52	140,024.89
არამატერიალური აქტივები	10659	2,013.00	851.08
	1,722,855	**1,633,808.00**	**1,440,838.08**

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შეადგენს გასაყიდად გამიზნულ საქონელს და დამხმარე მასალას საგარანტიო მომსახურებისთვის

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის ს მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	2020 წ. 31 დეკემბერი	2019 წ. 31 დეკემბერი	2018წ. 31 დეკემბერი
მოთხოვნები	751,635.00	636,112.00	258,640.00
გადახდილი ავანსები	419,688.00	583,518.00	838,138.00
სხვა მიმდინარე აქტივები (საგადასახდო აქტივი)	160,432.00	177,680.00	
სხვა გრძელვადიანი აქტივები			278,712.00
სულ	**1,331,755.00**	**1,397,310.00**	**1,375,490.00**

მოთხოვნების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელიც კომპანიას დაუგროვდა წლების განმავლობაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 2020 წელს 684210 ლარით, როდესაც კომპანიის დამფუძნებელმა გაიტანეს დივიდენდი

შპს დელტა კონსალტინგი
Delta CONSULTING

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

	2020წ 31 დეკემბერი	2019 წ. 31 დეკემბერი	2018წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალددებულებები მათშორის	**359,286.00**	**523,879.00**	**603,866.00**
ადგილობრივი	355,706.00	167,629.57	78,026.36
უცხოელი მომწოდებლები	3,580.00	356,249.43	525,839.64
მიღებული ავანსები	**779,083.00**	**1,139,527.00**	**3,063,019.00**
საგადასახადო ვალდებულებები			**76,145.00**
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		**8,090.00**	**267,660.00**
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			**168,149.00**
	1,138,369.00	**1,671,496.00**	**4,178,839.00**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი.

საოპერაციო შემოსავლები

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი 2020და 2019 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2020წ	2019წ
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	9,045,426	10,174,578.87
შემოსავალი ექსპორტიდან	135,828	42,920.13
სულ	**9,181,254**	**10,217,499.00**

საერთო ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2020წ	2019წ
კომუნალურის ხარჯი	28,171.00	6,011.00
დაზღვევის ხარჯები	21,657.00	
ავტომობილის შენახვის ხარჯი	17,537.00	31,861.78
მივლინების ხარჯი	35,107.00	58,616.26
გარანტის ხარჯი	10,107.00	37,351.03
თანამშრომელთა სწავლება და გამოცდაზე გასვლა	14,828.00	8,683.18
სხვა ხარჯები	273,607.00	288,437.75
სულ	**401,014.00**	**430,961.00**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

Delta CONSULTING

ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას კომპანიას გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

ლიკვიდობის რისკი: რისკი იმისა, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;

საბაზრო რისკები: რისკი იმისა, რომ საბარო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები რეალური ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, კომპანია იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;

ბუნებრივი ჰეჯირების" მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;

ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი. კომპანია მართავს ლიკვიდობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

დაკავშირებული მხარეები

კომპანიას არ გააჩნია ისეთი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც უნდა იყოს აღნიშნული მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. მისი მასშტაბებიდან გამომდინარე აღნიშნულმა ვირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე, თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის მას მნიშვნელოვანი პირდაპირი უარყოფითი ეფექტი არ ჰქონია კომპანიაზე.

შპს დელტა კონსალტინგი
Delta CONSULTING
DELTA CONSULTING LLC
401992162

შპს „დელტა კონსალტინგის "მმართველობითი ანგარიშგება 2020 წლის დასრულებული წლისათვის

ორგანიზაციის ბიზნეს განვითარება ,ფინანსური მაჩვენებლები და მდგომარეობა

შპს „დელტა კონსალტინგი " არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია და თანმდევი მომსახურებები

კომპანიის სათაო ოფისი მღებარეობს ქ. თბილისი ლვოვის ქ72

კომპანიას იურიდიულად არ ფლობს ფილიალებს.

კომპანიის მფლობელები 31 დეკემბერი 2020 წლის მდგომარეობით არის გიორგი ჯალიაშვილი 60% დავით გიორგაძე 20% გიორგი მიროტაძე 20% . კომპანიის დირექტორია გიორგი ჯალიაშვილი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენდა **1 416 094 ლარს**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენდა **3 995 638 ლარს**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენდა **4 963 403 ლარს**

შემოსავალი 2018წელში 6 919 262 ლარია. შემოსავალი 2019წელში 10 217 499 ლარი.შემოსავალი 2020 წელში 9 181 254 ლარი.

კომპანიის სტრატეგია

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, ისევე როგორც ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებელს სთავაზობს სანდრო მომსახურებასდა პროდუქციას, რასაც თან ახლავს უმაღლესი ხარისხის საგარანტიო მომსახურება.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია ბაზარს ამარაგებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციით და ქმნის საქართველოზე ადაპტირებულ მოქნილ სერვისებს. საერთაშორისო გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის გაზიარებით ვქმნით და ვამაღლებთ ხარისხის სტანდარტებს

2020წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაციის სამომავლო გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმები და ძირითადი მიმართულებებია:

- საბაზრო წილის ზრდა
- ლიკვიდურობის კოეფიციენტის შენარჩუნება
- ახალი მიმართულებების განვითარება

შპს დელტა კონსალტინგი * Delta CONSULTING * 401992162 DELTA CONSULTING LLC

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი მოიცავს შემდეგს

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	9,181,254.00	10,217,499.00
გაყიდვების თვითღირებულება	(5,626,603.00)	(6,645,293.00)
საერთო მოგება	3,554,651.00	3,572,206.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,169,098.00)	(861,095.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(273,849.00)	(249,851.00)
საპროცენტო ხარჯი	(1,436.00)	(14,990.00)
იჯარის ხარჯი	(57,279.00)	(32,717.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(401,014.00)	(430,961.00)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,902,676.00)	(1,589,614.00)
საოპერაციო მოგება	1,651,975.00	1,982,592.00

ამონაგები 2020 წელს 2019წელთან შედარებით გაზრდილია, რაც გამოწვეულია ახალი პარტნიორების მოძიებით

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა ,ლარი

ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,260,815.00	2,089,987.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	751,635.00	636,112.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	419,688.00	583,518.00
მარაგები	786,347.00	546,029.00
სხვა მოკლევადიანი აქტივები	160,432.00	177,680.00
სხვა არამატერიალური აქტივები	10,659.00	2,013.00
ძირითადი საშუალებები	1,712,196.00	1,631,795.00
სულ აქტივები	**6,101,772.00**	**5,667,134.00**
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	359,286.00	523,879.00
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	8,090.00
სხვა ვალდებულებები	779,083.00	1,139,527.00
სულ ვალდებულებები	**1,138,369.00**	**1,671,496.00**
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	295,981.00	295,981.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4,667,422.00	3,699,657.00
სულ საკუთარი კაპიტალი	**4,963,403.00**	**3,995,638.00**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**6,101,772.00**	**5,667,134.00**

შპს დელტა კონსალტინგი
Delta CONSULTING
DELTA CONSULTING LLC
401992162

ორგანიზაციის საკრედიტო,საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადის რისკი და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკის მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობის გზით. კომპანიის მცირე წილი მოდის საკრედიტო პირობით გაყიდვაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებეული წლისთვის კომპანია მოელის ყველა ვალდებულების ვადაში დაფარვას.ამისათვის საჭირო საკმარისი ფულის მიღება მოსალოდნელია საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდინებით.

ძირითადი რისკები და განუსაღვრელობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა

- სავალუტო რისკი - შესყიდვების ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია განხორციელებული, თუმცა გაყიდვებისშედარებით მცირე ოდენობა - უცხოურ ვალუტაში. არსებობს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი.მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგიაკომპანიას არ აქვს შემუშავებული ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის სამართავად, თუმცა ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კარგად არიან ინფორმირებული ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების შესახებ და დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.
- პოლიტიკური რისკი - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე, შესაბამისად, შემოსავალსა და ლიკვიდურობაზეც. მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგიამენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, რათა წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვლილებები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
- კოვიდ 19-ის რისკი - საქმიანობის შეწყვეტამ ან ინფრასტრუქტურის დაკეტვამ, მიწოდების ჯაჭვის რღვევამ, პერსონალის კარანტინში ყოფნამ ბიზნესის ოპერირება შეცვალა, მცირედით შეამცირა მოთხოვნა მენეჯმენტის რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია.მენეჯმენტი ითვალისწინებს ჯანდაცვის ორგანიზაციების ყველა რეკომენდაციას, რათა უზრუნველყოს ბიზნესის საქმიანობის კოვიდ 19- თან დაკავშირებულ კანონისმიერ მოთხოვნებთან შესაბამისობა . ტანამშრომლების დიდი ნაწილი აცრილია და კომპანიიაეფექტურად აგრძელებს საქმიანობას.

შპს „დელტა კონსალტინგის " დირექტორი

გიორგი ჯალიაშვილი